ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4215206

ნომერი: AR1636234

თარიღი : 09.10.2018

გაცემის თარიღი : 12.10.2018

გაცნობის თარიღი : 12.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ბალიაშვილი პ/ნ 01005001410
- თბილისი დ.უზნაძის ქ. N 95

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მიხეილ ბალიაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს არქიტექტურული ბიურო
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404393483

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოებისნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოსკულტურისა და ძეგლთა დაცვისსამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებულიადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპროტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, ვეკუას ქ. N3-ში მრავალფუნქციური შენობის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისსამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N41; 11.10.2018წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქალაქე მ. ბალიაშვილს უარიუნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

უარი ეთქვა ქ. თბილისში, ვეკუას ქ. N3-ში მრავალფუნქციური შენობის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს. რეკომენდაცია: შენარჩუნდეს სკვერთან კავშირში საერთო რეკრეაციული სივრცე, რაც აუცილებელია ათონელის ქუჩის ღირებული განაშენიანების თავისუფალი აღქმისთვის. ახალი მოცულობა შესაძლებელია იყოს მაქსიმუმ ერთი სართული, რომელიც არ დაფარავს სივრცით კომპოზიციას - ძეგლსახლებს და აგრეთვე, უნდა აღიქმებოდეს როგორც მოედანი. შესაძლებელია შეიქმნას მხოლოდ ბექობის სტრუქტურის შემაღლებები. მთელ მოცემულობას უნდა ჰქონდეს ლანდშაფტური სტრუქტურის ხასიათი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.